აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნები

საინფორმაციო ბიულეტენი

აგვისტო, 2012 წელი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები დაინიშნა 2012 წლის 1 ოქტომბერს. აჭარის არჩევნები საქართველოს პარლამენტის არჩევნების პარალელურად ჩატარდება.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აქტივობები მიმდინარე წლის 1-31 აგვისტოს პერიოდში:

3 აგვისტოს უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ ჩაატარა პირველი სხდომა საარჩევნო რეჟიმში და დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი. ასევე განკარგულებით დაადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლების წესი.

4 აგვისტოს იმ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც კანონის შესაბამისად იღებენ სხვებზე მეტ დაფინანსებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, წარმოადგინეს წევრები უმაღლეს საარჩევნო კომისიაში. ეს პარტიებია:

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'';

„ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“;

„ლეიბორისტული პარტია'';

,,ქრისტიან -დემოკრატიული მოძრაობა'';

,,ევროპელი დემოკრატები'';

,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს'';

,,საქართველოს კონსერვატიული პარტია''.

5 აგვისტოს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დასრულდა აჭარის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით პარტიების მიერ განაცხადების შემოტანა. განაცხადები შემოიტანეს შემდეგმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა:

1. პოლიტიკური პარტია "თავისუფალი საქართველო";
2. "საქართველოს ლეიბორისტული პარტია";
3. "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა";
4. "ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია";
5. "საქართველოს რესპუბლიკური პარტია";
6. "საქართველოს კონსერვატიული პარტია";
7. "საქართველოს ევროპელი დემოკრატები";
8. პოლიტიკური გაერთიანება - "ეროვნული ფორუმი";
9. "საქართველოს დემოკრატიული სიმართლის პარტია";
10. "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს";
11. "ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები";
12. "ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო";
13. მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსათვის";
14. "ხალხის პარტია";
15. "ახალი მემარჯვენეები";
16. "ნაციონალური მოძრაობა";
17. "ქართული დასი".

12 აგვისტოს ,,საქართველოს დემოკრატიული სიმართლის პარტიამ'', პოლიტიკურმა პარტიამ “მოძრაობა-სამართლიანი საქართველოსთვის” და „ხალხის პარტიამ'' რეგისტრაციაში გატარების მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარმოადგინეს მხარდამჭერთა სიები, რადგანაც ისინი არ იყვნენ რეგისტრირებულნი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის.

14 აგვისტოს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის მზადების პროცესი განიხილეს და იმსჯელეს ლოჯისტიკურ და ტექნიკურ საკითხებზე.

კომისიის წევრებმა განიხილეს ასევე ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ფორმები სამუშაო პროცესისათვის.

17 აგვისტოს დასრულდა პარტიების რეგისტრაცია.

19 აგვისტოს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ამოიწურა საარჩევნო ბლოკების დარეგისტრირებაზე განცხადების შემოტანის ვადა. საარჩევნო სუბიექტები, კანონით დადგენილი წესით განკარგულებით დაარეგისტრირა უსკოს თავმჯდომარემ. კერძოდ დარეგისტრირებულია ორი საარჩევნო ბლოკი:

1. საარჩევნო ბლოკი **„ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ და მისი წარმომადგენლები: კახაბერ სოფრომაძე და გუგული დუაძე** . ბლოკის სუბიექტები არიან:

პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

„საქართველოს კონსერვატიული პარტია“;

პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“;

„საქართველოს რესპუბლიკური პარტია“;

პ/გ „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები“;

პ/გ „ეროვნული ფორუმი.

2. საარჩევნო ბლოკი **„გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება'' და მისი წარმომადგენლები**: **შაირან დავითიანი და ნაზი მახათაძე.** ბლოკის სუბიექტები არიან:

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“;

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;

ამის შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს 9 პოლიტიკური პარტია და 2 საარჩევნო ბლოკი. კერძოდ:

,,კახა კუკავა -თავისუფალი საქართველო’’;

,,შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია’’;

,,სახალხო მოძრაობა’’;

,,ახალი მემარჯვენეები’’;

,,ჯონდი ბაღათურია-ქართული დასი’’;

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს’’;

,,ხალხის პარტია’’;

,,სამართლიანი საქართველოსთვის’’;

,,დემოკრატიული სიმართლის პარტია’’

საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“;

საარჩევნო ბლოკი „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება’’.

21 აგვისტოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე და კომისიის მდივანი ქეთევან ჯიქია შეხვდნენ საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) გრძელვადიან წარმომადგენელს, **მარია ბაბიჩს.** შეხვედრაზე განიხილეს მზადების პროცესი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის. ამავე დღეს უსკომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებს მიეცათ შესაძლებლობა, გამოიყენონ იგივე რიგითი ნომრები, რაც მიენიჭათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ და ასევე დაამტკიცა პროპორციული და მაჟორიტარული ბიულეტენების ფორმები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის, რომლებიც იქნება განსხვავებული ფერის საქართველოს პარლამენტის არჩევნების ბიულეტენებისაგან.

22 აგვისტოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე

შეხვდა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) გრძელვადიან საარჩევნო დამკვირვებლებს, **სემ გარიზს, სარა გრებაუსკს, და რაბია ღადაბანს.** შეხვედრაზე ისაუბრეს მოსამზადებელ სამუშაოებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის.

28 აგვისტოს სხდომაზე კომისიამ განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის განსაზღვრის საკითხი და განკარგულებით განსაზღვრა რიგითი ნომრები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე შემდეგი საარჩევნო სუბიექტებისათვის:

N-1 -პოლიტიკური გაერთიანება ,,კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო'' ;

N-5 - პოლიტიკური გაერთიანება ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს";

N-9 - ,,სამართლიანი საქართველოსთვის '';

N-10 -საარჩევნო ბლოკი „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება " ;

N-17 - ,, სახალხო მოძრაობა'';

N-18 - ,,ხალხის პარტია'';

N -23 - ,,ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი";

N-24 - ,,ახალი მემარჯვენეები" ;

N-38 - ,,შალვა ნათელაშვილი -საქართველოს ლეიბორისტული პარტია'' ;

N-41- საარჩევნო ბლოკი ,,ბიძინა ივანიშვილი- ქართული ოცნება'';

N-43 - ,,დემოკრატიული სიმართლის პარტია''.